

### VIII კლასი

1. ამოხსენით განტოლება:  $\frac{x^2+7x+10}{x^4-10x^2+24} = 0$
2. იპოვეთ  $a$ -ს მნიშვნელობა, რომლისთვისაც განტოლებას უქნება ზუსტად ერთი ამონახსნი:  $(a - 1)x^2 - (3a - 1)x + 1 = 0$ .
3. ვთქვათ,  $x_1$  და  $x_2$  არის  $x^2 - 1073x - 2 = 0$  განტოლების ფესვები. შეადგინეთ კვადრატული განტოლება რომლის ფესვები იქნება  $x_1 + 2$  და  $x_2 + 2$ .
4. ვიტის თეორემის გამოყენებით იპოვეთ  $x_1^3 + x_2^3$ , სადაც  $x_1$  და  $x_2$  არის  $3x^2 - 13x - 1 = 0$  განტოლების ფესვები.
5. A-დან B-მდე 400კმ მანძილი მატარებელმა განსაზღვრული სიჩქარით გაიარა. უკან დაბრუნებისას, გზის  $\frac{2}{5}$ -ზე მიდიოდა იმავე სიჩქარით, ხოლო შემდეგ 20კმ/სთ-ით შეამცირა სიჩქარე. იპოვეთ მატარებლის სიჩქარე გზის ბოლო მონაკვეთზე, თუ მთელი გზის გავლას მან 11სთ მოანდომა.
6. სამკუთხედის გვერდებია  $AB=13$ სმ,  $BC=14$ სმ და  $AC=15$ სმ. იპოვეთ  $BC$  გვერდზე დაშვებული სიმაღლე.
7. ABCD მართკუთხედის B წვეროდან AC დიაგონალზე დაშვებული BK მართობის სიგრძე  $2\sqrt{5}$ სმ-ია. იპოვეთ ABCD მართკუთხედის პერიმეტრი, თუ ცნობილია, რომ  $AK:KC=1:4$ .
8. ორი წრეწირის რადიუსია 27სმ და 11 სმ, ხოლო ცენტრებს შორის მანძილია 34სმ. იპოვეთ მათი საერთო გარე მხების სიგრძე.